კონფიდენციალურობის პოლიტიკა

სს „სადაზღვევო კომპანია ტაო" (ს.ნ 202408386; მის.: საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა, N 16, ტელ.: +995 (32) 2 053908, ელ. ფოსტა: info@taoinsurance.ge , შემდგომში - „კომპანია“) წარმოადგენს ლიცენზირებულ სადაზღვევო კომპანიას, რომლის ძირითადი საქმიანობაა სადაზღვევო მომსახურების გაწევა, კერძოდ კომპანია გასწევს ავტოტრანსპორტის დაზღვევის მომსახურებას და გასცემს საბანკო გარანტიებს.

კომპანიის საქმიანობის ძირითადი მიზანია ხარიასხიანი და სრულყოფილი სადაზღვევო მომსახურების გაწევა, კანონმდებლობის, საუკეთესო პრაქტიკის და მომხმარებელთა უფლებების დაცვით დაზღვევის ხელშეკრულების გაფორმება და განხორციელება.

ამ მიზნების მისაღწევად კომპანია უზრუნველყოფს: დაზღვევის მომსახურების შეთავაზებას, დაზღვევის განაცხადის განხილვას, დაზღვევის პოლისის გაცემას, სადაზღვევო შემთხვევის დასადგენად დოკუმენტაციის გამოთხოვას, შესწავლას და განხილვას, დამზღვევის სადაზღვევო შემთხვევის დადგომით მიყენებული ზიანის დადგენას, შეფასებას და ანაზღაურებას ხელშეკრულების პირობების შესაბამისად; სხვადასხვა სახის ხელშეკრულების გაფორმებას და ყველა იმ საქმიანი, შიდა ორგანიზაციული, მესამე პირებთან თუ საზედამხედველო ორგანოებთან თანამშრომლობას, რაც დაკავშირებულია მზღვეველის საქმიანობასთან.

კონფიდენციალურობის პოლიტიკის არსი

კომპანია აღიარებს და იცავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლებას, უზრუნველყოფს მონაცემების კონფიდენციალურობას, მთლიანობას, უსაფრთხოებას და დამუშავების ყველა შემთხვევის კანონიერებას. წინამდებარე პოლიტიკა მიემართება ყველა იმ ფიზიკურ პირს, რომელთა მონაცემებსაც კომპანია სხვადასხვა საქმიან ურთიერთობებში (უწევს სადაზღვევო მომსახურებას, აცხადებს კონკურსებს და იღებს რეზიუმეს ან/და სხვა ნებისმიერი ფორმით საკუთარი ძირითადი საქმიანობის ფარგლებში აგროვებს, ინახავს, იყენებს, შლის, აღრიცხავს და ა.შ. მონაცემებს) და განსხვავებული საჭიროებებისას ამუშავებს.

წინამდებარე პოლიტიკა და სხვა შიდაორგანიზაციული დოკუმენტები, გადაწყვეტილებები, პერსონალურ მონაცემთა დამუშავების ყველა ოპერაცია ეფუძნება პერსონალურ მონაცემთა დაცვის მარეგულირებელ ეროვნულ კანონმდებლობას და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას. მონაცემთა დამუშავებისას უპირატესად გამოიყენება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები.

რა არის პერსონალური მონაცემი?

პერსონალური მონაცემია ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ უკავშირდება კონკრეტულ ადამიანს. მაგალითად, სახელი, დაბადების თარიღი, საკონტაქტო ინფორმაცია, ქონების ფლობის, სამუშაო ადგილის, მიღებულ მომსახურებასთან დაკავშირებული და სხვა ინფორმაცია.

ვის მონაცემებს ვაგროვებთ?

ჩვენ ვაგროვებთ ინფორმაციას ჩვენი კლიენტების, მომხმარებლების, სადაზღვევო მომსახურების ფარგლებში მონაწილე სხვა პირების, სადაზღვევო შემთხვევისას შესაფასებლად და გადაწყვეტილების მისაღებად, ხელშეკრულების გასაფორმებლად და შესასრულებლად, სადაზღვევო ორგანიზაციისთვის მოქმედი კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულებების ეფექტიანად შესასრულებლად აუცილებელ სხვა მონაცემებს.

როგორ ვაგროვებთ პერსონალურ მონაცემებს?

ჩვენ ვაგროვებთ თქვენს შესახებ პერსონალურ ინფორმაციას სხვადასხვა კანონიერი გზით, მათ შორის:

- თქვენ თავად გვაწვდით მონაცემებს;
- ავსებთ დაზღვევის განაცხადს;
- გვიკავშირდებით ტელეფონით და გვიზარებთ ინფორმაციას;
- გვიკავშირდებით ფოსტით ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით და გვიზიარებთ ინფორმაციას;
- წერილობითი ხელშეკრულების ან/და კანონმდებლობის საფუძველზე ვიღებთ ინფორმაციას მესამე პირებისგან.;
- საჯაროდ ხელმისაწვდომი წყაროებიდან.

რა ინფორმაციას ვაგროვებთ? რატომ და რისთვის?

შეგროვებულ მონაცემთა ძირითადი კატეგორიები, მიზნები და საფუძვლებია:

მონაცემი	მიზანი	საფუძველი
პირდაპირ მაიდენტიფიცირებელი	სადაზღვევო მომსახურების გაწევა, ხელშეკრულების გაფორმება,	თქვენი თანხმობა; სახელშეკრულებო

ინფორმაცია (სახელი, გვარი, პირადი ნომერი, დაბადების თარიღი, მოქალაქეობა; პირადობის მოწმობის ან ადამიანის მაიდენტიფიცირებელი სხვა დოკუმენტის ასლი, რომელიც შეიცავს პერსონალურ მონაცემებს და გამოიყენება იდენტიფიკაციის მიზნებისათვის).	განაცხადის რეგისტრაცია და მასზე რეაგირება.	ვალდებულებების შესრულება; კომპანიის კანონიერი ინტერესები; კომპანიის საკანონმდებლო ვალდებულება.
საკონტაქტო მონაცემები (ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, ფაქტობრივი/იურიდიული მისამართი).	თქვენთან კომუნიკაცია სახელშეკრულებო ვალდებულებების ფარგლებში; თქვენი პრეტენზიების განხილვა; თქვენი ინფორმირება.	თქვენი თანხმობა; სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება; კომპანიის კანონიერი ინტერესები; საკანონმდებლო ვალდებულების შესრულება.
საბანკო რეკვიზიტები და პრემიის გადახდის შესახებ ინფორმაცია.	ხელშეკრულების პირობების შესრულება; მიღებული მომსახურებისთვის, გადახდების განხორციელების ფიქსაცია.	თქვენი თანხმობა; სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება; კომპანიის კანონიერი ინტერესები; საკანონმდებლო ვალდებულების შესრულება.

ელექტრონული ხელმოწერა (ასეთის არსებობისას) და მისი ფორმირებისთვის აუცილებელი მონაცემები, სადაზღვევო მომსახურების ფარგლებში შედგენილი ის იურიდიული დოკუმენტები და მასზე დატანილი მონაცემები, რომლის ელექტრონული ხელმოწერაც ხორციელდება (ასეთის არსებობისას). ასევე, ცალკეულ შემთხვევაში, ვიდეო იდენტიფიკაცია, ბიომეტრიული მონაცემები, რომელიც გამოიყენება იდენტიფიკაციის მიზნებისთვის, მათ შორის, დაწოლის ძალა, აჩქარება და ა.შ..	ხელშეკრულების დისტანციურად გაფორმება, პირის იდენტიფიკაცია და გამოვლენილი ნების ნამდვილობის, ავთენტურობის დადგენა.	თქვენი თანხმობა; სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება; კომპანიის კანონიერი ინტერესები; საკანონმდებლო ვალდებულების შესრულება.
დაზღვევის ხელშეკრულების დეტალები, მათ შორის სადაზღვევო განაცხადსა და სადაზღვევო პოლისზე დატანილი მონაცემები, სადაზღვევო შემთხვევის, დაზღვევის ობიექტის შესახებ და სადაზღვევო მომსახურების გასაწევად (მათ შორის სადაზღვევო ანაზღაურების გასაცემად) აუცილებელი სხვა ინფორმაცია/დოკუმენტაცია, მათ შორის დაზღვეული ქონების მისამართი და საკადასტრო კოდი.	ანდერაიტინგი, დაზღვევის პირობების (სადაზღვევო დაფარვები, პრემიის ოდენობა და ა.შ) მომხმარებელზე მორგება, სადაზღვევო მომსახურების გაწევა, ხელშეკრულებით და კანონმდებლობით მზღვეველისათვის განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება; სადაზღვევო შემთხვევის დადგენა შეფასება და ანაზღაურების საკითხის გადაწყვეტა.	თქვენი განცხადების განხილვა; თქვენი თანხმობა; სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება; კომპანიის კანონიერი ინტერესები; კომპანიის საკანონმდებლო ვალდებულება; საჯაროდ გამოქვეყნებული ინფორმაცია.

სამუშაო გამოცდილების, განათლების, პროფესიული მიღწევების, კომპანიის მიერ გამოცხადებული ვაკანსიის კონკურში მონაწილეობასთან დაკავშირებული სხვა მონაცემები.	განცხადების მიღება, განხილვა, ვაკანსიასთან შესაბამისობის დადგენა და დასაქმების შესახებ გადაწყვეტილების მიღება.	თქვენი თანხმობა; სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება; კომპანიის კანონიერი ინტერესები; გარიგების დადების აუცილებლობა; კომპანიის საკანონმდებლო ვალდებულება.
შრომითი ხელშეკრულების ფარგლებში დასაქმებასთან და სამუშაო პროცესში შექმნილი, გამოყენებული და აუცილებელი სხვა ინფორმაცია (პირადი საქმე, საბანკო ანგარიშის რეკვიზიტები, დისციპლინური წარმოების მასალები, სამუშაოზე გამოცხადების და წასვლის შესახებ ინფორმაცია და ა.შ.)	დამსაქმებლის ფუნქციის შესრულება, სამუშაო პროცესის ორგანიზაციული მოწესრიგება და შრომითი დისციპლინის დაცვა.	თქვენი თანხმობა; საკანონმდებლო და სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულება; კომპანიის კანონიერი ინტერესები.
კონკრეტული სადაზღვევო შემთხვევიდან გამომდინარე, შესაძლოა ასევე დამუშავდეს: ჩადენილი სამართალდარღვევის შესახებ ინფორმაცია და საქმის სხვა მასალები, სასამართლოს გადაწყვეტილება, დამზღვევის ან/და უფლებამოსილი მძღოლის ან/და მესამე პირის ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან	სადაზღვევო მომსახურების გაწევა, ხელშეკრულებით და კანონმდებლობით მზღვეველისათვის განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება; სადაზღვევო შემთხვევის დადგენა შეფასება და ანაზღაურების საკითხის გადაწყვეტა.	თქვენი თანხმობა; სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება; კომპანიის კანონიერი ინტერესები; კომპანიის საკანონმდებლო ვალდებულება; საჯაროდ

ფსიქოტროპული ნივთიერებების ზეგავლენის ქვეშ ყოფნის თაობაზე ინფორმაცია და საქმის სხვა მასალები. ავტომობილის ტექნიკური პასპორტი, ავტომობილის მესაკუთრის/მფლობელის ვინაობა, ავტომობილის საიდენტიფიკაციო მონაცემები და მისი ტექნიკური ისტორია (მახასიათებლები, განვლილი კილომეტრაჟი, ჩაძირვის შესახებ ინფორმაცია და ა.შ).		გამოქვეყნებული ინფორმაცია.

აუდიომონიტორინგი

სადაზღვევო კომპანია ტაო ახორციელებს მომხმარებლებთან შემდგარი სატელეფონო საუბრების აუდიოჩაწერას მხოლოდ მათი წინასწარი ინფორმირების პირობებში. აუდიომონიტორინგის და ჩანაწერების შენახვის ძირითადი მიზნებია: მომხმარებელთა უფლებების დაცვა, მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება, კომპანიის ლეგიტიმური ინტერესების და სპეციალური კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვა. აუდიომონიტორინგის საფუძველია ცალკეული საუბრების დაოქმება/რეგისტრაცია და კომპანიის ლეგიტიმური ინტერესები, კერძოდ: ხარისხიანი და კანონშესაბამისი სადაზღვევო მომსახურების გაწევა და მომხმარებლის პრეტენზიების საფუძვლიანი შესწავლა. ასევე კომპანიის მიერ გაწეულ მომსახურებასთან/შემდგარ კომუნიკაციასთან დაკავშირებული დავების წარმოშობისას შესაბამისი მტკიცებულების შექმნა; სადაზღვევო სფეროში კომპანიისთვის კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულებების ეფექტიანი შესრულება.

განხორციელებული ზარის შედეგად კომპანიისათვის მიწოდებული მონაცემები გამოიყენება თქვენთვის ეფექტური და ხარისხიანი მომსახურების გასაწევად, თქვენი მოთხოვნების დროულად შესასრულებლად და კომპანიის მიერ საქართველოს კანონმდებლობით ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად. თუ არ მოგვაწვდით იმ ინფორმაციას, რომელიც აუცილებელია თქვენთვის მომსახურების გასაწევად, თქვენი მოთხოვნის შესასრულებლად, ან/და რომლის მოპოვება კანონით პირდაპირ გვევალება, ჩვენ ვერ შევძლებთ გაგიწიოთ მომსახურება ან შევასრულოთ თქვენი მოთხოვნები.

აუდიოჩანაწერები შეინახება ზემოაღნიშნული დამუშავების მიზნების მისაღწევად აუცილებელი და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ვადით.

რა არის კომპანიის კანონიერი ინტერესები, მიზნები და დამუშავების სამართლებრივი საფუძველი?

მონაცემთა დაცვის კანონმდებლობის თანახმად, ჩვენ გვაქვს უფლება გამოვიყენოთ თქვენი პერსონალური ინფორმაცია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გვაქვს ამის სამართლებრივი საფუძველი, ამასთან დამუშავების ყველა ეტაპზე ვალდებულნი ვარ დავიცვათ მონაცემთა დამუშავების პრინციპები (კანონიერი კონკრეტული მიზნით დამუშავება, გონივრული ვადით და მოცულობით, თქვენი ღირსების შეულახავად, სამართლიანად, უსაფრთხოების მაღალი სტანდარტების, მონაცემების სინამდვილის და სიზუსტის დაცვით).

მონაცემებს ვამუშავებთ:

- თქვენი ინფორმირებული თანხმობით;
- თუ მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტთან დადებული გარიგებით ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად ან მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნით გარიგების დასადებად;
- თუ მონაცემთა დამუშავება გათვალისწინებულია კანონით;
- თუ მონაცემთა დამუშავება საჭიროა კომპანიის კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად;
- თუ მონაცემები კანონმდებლობის თანახმად საჯაროდ ხელმისაწვდომია ან მონაცემთა სუბიექტმა იგი საჯაროდ ხელმისაწვდომი გახადა;
- თუ მონაცემთა დამუშავება საჭიროა მონაცემთა სუბიექტის ან სხვა პირის სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად;
- თუ მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის დასაცავად;
- თუ მონაცემთა დამუშავება აუცილებელია საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული საჯარო ინტერესის სფეროსათვის მიკუთვნებული ამოცანების შესასრულებლად;
- თუ მონაცემთა დამუშავება აუცილებელია კომპანიის ან მესამე პირის მნიშვნელოვანი ლეგიტიმური ინტერესების დასაცავად, გარდა იმ შემთხვევისა, თუ არსებობს მონაცემთა სუბიექტის (მათ შორის, არასრულწლოვანის) უფლებების დაცვის აღმატებული ინტერესი;
- თუ მონაცემთა დამუშავება აუცილებელია კანონის შესაბამისად მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის დასაცავად;
- თუ მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის განცხადების განსახილველად და მისთვის მომსახურების გასაწევად.

მონაცემები შეგვიძლია დავამუშავოთ კომპანიის ლეგიტიმური ინტერესებისთვის და კანონიერი მიზნებით, მათ შორის როგორიცაა:

- კლიენტისათვის სადაზღვევო მომსახურების გაწევა და სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება;
- მომსახურების გაუმჯობესება, თქვენ მიერ ვალდებულებების შესრულების მონიტორინგის მიზნებისათვის;
- სხვადსხვა საკომუნიკაციო საშუალებით ჩვენთვის დატოვებულ შეტყობინებებზე რეაგირების მიზნით; თქვენთვის საჭიროებისამებრ შეტყობინებების/კორეპონდენციების გადმოსაგზავნად;
- თქვენზე კომპანიაში დაცული პერსონალური მონაცემების განახლება, შეცვლა;
- სადაზღვევო შემთხვევის დადგენა, მისი მოცულობის განსაზღვრა;
- სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დამდგარი ზარალის რეგულირება;
- სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა;
- მზღვეველის სუბროგაციის უფლების გამოყენება;
- სადაზღვევო საქმიანობის აგენტის და ბროკერის მეშვეობით განხორციელება;
- კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულების შესრულება - კლიენტის, მესამე პირის, მინდობილი პირის იდენტიფიკაცია; ფულის გათეთრების, თაღლითობის და სხვა დანაშაულის პრევენცია და კონტროლი;
- ჩვენ მიერ განსაზღვრული სხვადსხვა მიზნებისათვის კვლევების განხორციელება, რეპორტების/ანგარიშების შედგენა;
- მომხმარებლებისთვის ავტო აუქციონის მომსახურების გაწევა;
- კომპანიის მიერ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების დროს სხვადასხვა ხელშეკრულების გაფორმება;
- სახელშეკრულებო ურთიერთობების ფარგლებში ნაკისრი უფლება-მოვალეობების შესრულება;
- საჩივრების/პრეტენზიების განხილვა და მათზე რეაგირება;
- ჩვენი ზედამხედველი ორგანოსათვის და აუდიტორული კომპანიებისათვის მონაცემთა ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება;

ჩვენ შეიძლება დავამუშაოთ თქვენი პერსონალური მონაცემები რამდენიმე საფუძვლით, იმის მიხედვით თუ რა კონკრეტულ კანონიერ მიზანს ემსახურება დამუშავება.

რა მოხდება, თუ არ მოგვაწოდებთ ინფორმაციას, რომელსაც ჩვენ სავალდებულოდ ვითხოვთ?

ჩვენ გვჭირდება გარკვეული ინფორმაცია, რათა გაგიწიოთ მომსახურება და შევასრულოთ ჩვენი სამართლებრივი ვალდებულებები. მაგალითად, ჩვენ გვჭირდება თქვენი პირადობის მოწმობაზე

დატანილი მაიდენტიფიცირებელი მონაცემები, რათა შევძლოთ თქვენი იდენტიფიცირება, ვერიფიცირება, თქვენი განაცხადის რეგისტრაცია და დაზღვევის ხელშეკრულების გაფორმება. მაგალითად, დაზღვევის სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობა პირდაპირ გვავალდებულებს მომხმარებლის იდენტიფიკაციასა და ვერიფიკაციას, ცალკეული ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილ ფორმებში რეგისტრაციას და მსგავსი. თქვენი საკონტაქტო ინფორმაცია თქვენთან დაკავშირების, აუცილებელი ინფორმაციის მიწოდების, ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული იურიდიული მოქმედებების შესაჯერებლად და ა.შ.

თუ თქვენ არ მოგვაწვდით ზემოაღნიშნულ ინფორმაციას ჩვენ ვერ გაგიწევთ მომსახურებას, ვერ დავიცავთ თქვენს უფლებებს, ვერ შევადგენთ იურიდიული მნიშვნელობის დოკუმენტაციას, ვერ ჩაგრთავთ ვაკანსიისთვის გამოცხადებულ კონკურსში და ა.შ.

ვისგან ვიღებთ და ვის ვუზიარებთ თქვენს მონაცემებს?

კანონმდებლობით დადგენილი წესით და ფარგლებში, ჩვენ უფლება გვაქვს, თქვენი პერსონალური მონაცემები გამოვითხოვოთ და მივიღოთ უშუალოდ თქვენგან, მესამე პირებისგან თქვენი თანხმობით, საჯაროდ ხელმისაწვდომი წყაროებიდან და სხვა ადმინისტრაციული ორგანოებიდან კანონმდებლობით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში.

ჩვენ მხოლოდ თქვენი თანხმობით ან/და კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში და პროპორციული მოცულობით ვუზიარებთ თქვენს მონაცემებს. მათ შორის:

- საზედამხედველო ორგანოებს (პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური; საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური და სხვა);
- სამართალდამცავ ორგანოებს, ზარალის თავიდან აცილებისა ან/და მისი დარეგულირებისა და ანაზღაურების მიზნით, ასევე კანონმდებლობით განსაზღვრული საჯარო ინტერესის სფეროში შემავალი ამოცანების (მათ შორის, დანაშაულის აცილების, დანაშაულის გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნის, მართლმსაჯულების განხორციელების და ა.შ.) შესასრულებლად;
- ადგილობრივი სახელმწიფო ორგანიზაციები/სამსახურები, კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულების მიზნით;
- ჩვენი დავალების შემსრულებელ უფლებამოსილ პირებს (სერვის პროვაიდერები (ევაკუატორები, აგენტები, შუამავლები, იურიდიული, აუდიტორული ან სხვა პროფესიული სერვისის გამწევი კომპანიები), რომელთანაც ვაფორმებთ წერილობით ხელშეკრულებებს მონაცემთა კონფიდენციალურობის, უსაფრთხოების და მონაცემთა დაცვის კანონმდებლობის სხვა დათქმებით;
- თქვენი ინფორმირებული თანხმობით ჩვენ პარტნიორებს, რომელთან ერთადაც განვსაზღვრავთ დამუშავების ერთობლივ მიზნებსა და საშუალებებს (ცალკეული მომსახურების გაწევის ფარგლებში შესაძლოა დამუშავების პროცესში კომპანიასთან

ერთად მონაწილეობს რამდენიმე მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხიმგებელი პირი, ასეთ შემთხვევაში, კომპანია ყოველ თანადამმუშავებელთან აფორმებს წერილობით შეთანხმებას პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობის სრული დაცვით. ამასთან, წინასწარ გაწვდით ამ პირთა შესახებ ინფორმაციას).

რამდენ ხანს ვინახავთ თქვენს მონაცემებს?

მონაცემები შეინახება თქვენი მომსახურების მთელი პერიოდის განმავლობაში, იმ ვადით, რაც საჭიროა ზემოთ ჩამოთვლილი მიზნების მისაღწევად, მათ შორის, თქვენთან სადაზღვევო მომსახურების შეწყვეტის შემდგომაც, თუ ეს საჭიროა კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებების შესასრულებლად.

რა უფლებები გაქვთ თქვენს მონაცემებთან დაკავშირებით?

კომპანია პატივს სცემს და იცავს მონაცემთა სუბიექტის კანონმდებლობით გარანტირებულ ყველა უფლებას. თქვენ გაქვთ მთელი რიგი უფლებები თქვენს პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებით, ეს მოიცავს:

- იყოთ ინფორმირებული, თუ როგორ ვამუშავებთ თქვენს მონაცემებს;
- გაეცნოთ თქვენს პირად მონაცემებს, უსასყიდლოდ გამოითხოვოთ ასლები;
- მოითხოვოთ თქვენი მონაცემების შესწორება, თუ ფიქრობთ, რომ ის არასწორია, არასრული ან არაზუსტია. წაშლა/დაბლოკვა თუ ფიქრობთ, რომ დამუშავების პროცესი უკანონოა;
- გააუქმოთ თქვენ მიერ გაცემული თანხმობა;
- გამოთქვათ პრეტენზიები/წარმოადგინოთ საჩივრები;
- გაასაჩივროთ ორგანიზაციის ქმედებები სასამართლოში ან საზედამხედველო ორგანოში;
- მოითხოვოთ მონაცემების პორტირება (გადატანა);
- არ დაექვემდებაროთ სრულად ავტომატიზირებულ გადაწყვეტილებებს, რომელიც თქვენთვის სამართლებრივ ან სხვა სახის არსებითი მნიშვნელობის მქონე შედეგს წარმოშობს, გარდა კანონით გათვალისწინებული გამონაკლისებისა.

როგორ უნდა დაგვიკავშირდეთ და გამოიყენოთ თქვენი უფლებები?

თუ გსურთ თქვენი რომელიმე უფლების გამოყენება, პრეტენზიის დაფიქსირება, გაქვთ შენიშვნები/რეკომენდაციები ან გსურთ მეტის გაგება, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ: საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა, N 16; ტელ.: +995 (32) 2 053908; ელ. ფოსტა: info@taoinsurance.ge .

ამ პოლიტიკასთან ან/და კომპანიის მიერ პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პრაქტიკასთან დაკავშირებით კითხვების შემთხვევაში, დაგვიკავშირდით:

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი - შპს "Privacy Professionals" (ს/ნ: 405682916); ელ. ფოსტა: info@taoinsurance.ge .

<u>პოლიტიკის ცვლილება</u>

წინამდებარე კონფიდენციალურობის პოლიტიკა პერიოდულად განახლდება, მონაცემთა დამუშავების პროცესების და მოქმედი რეგულაციების შეცვლის შესაბამისად. პოლიტიკის განახლების/შეცვლის შესახებ გაცნობებთ ამავე ვებგვერდის საშუალებით.